განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი:

იწვა ბოჭოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888

სახე: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - სასწავლო უნივერსიტეტი

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის #752 ბრძანებით (23.08.2019წ) შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1.ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;

2.ინგა ბოჭოიძე - წევრი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ვეტერინარიის“ „მებოსტნეობის“ და „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ინგა ბოჭოიძის ფუნქციებად დამატებით განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა წინასწარ და შეიმუშავა დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 03-04 სექტემბერს ქ. სენაკში.

ორივე დღეს ვიზიტი წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში მოხდა: ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პერსონალთან, პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო სივრცეების, მატერიალური აღჭურვილობის და მათი შეძენის დოკუმენტაციის გადამოწმება; დაწესებულების უსაფრთხოების (სამედიცინო, ხანძარსაწინააღმდეგო, დაცვის და სხვ.) გადამოწმება; ადმინისტრაციული და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეების გადამოწმება; საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირების პირობების, საქმის და რეესტრის წარმოების და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გადამოწმება.

ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის და სენაკის განყოფილების თანამშრომლებს.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება იგეგმება ქ. სენაკში (პროფესიული პროგრამების განყოფილება), სადაც მხოლოდ პროფესიული პროგრამები ხორციელდება. პროგრამების განხორციელებაში არ არის ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამი საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ვეტერინარია, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- **რეკომენდაცია მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, მათთან დადონ ხელშეკრულებები, რომელშიც პრაქტიკის ობიექტზე დასადასტურებელი მოდულების სწავლის შედეგების და საჭირო მატერიალური რესურსის გარდა, ასევე მითითებული იქნება ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (1.1)**
- **რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურაში აისახოს ის ბმა (კავშირი), რაც სამსახურეობრივი აღწერილობით არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროფესიული პროგრამების განვითარების სამსახურს შორის;**
- **რეკომენდაცია მიეცათ დაწესებულებამ სენაკის სასწავლო კორპუსში დაამატოს ქაფისა და წყლის ან ფხვნილის ცეცხლმაქრებიც, საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრულად უზრუნველყოფის მიზნით (2.6)**
- **რეკომენდაცია მიეცათ უზრუნველყონ მოდულების „ინფორმაციული წიგნიერება 1“ და „ინფორმაციული წიგნიერება 2“ განსახორციელებლად საჭირო სივრცის მოწყობა შენობის პირველ სართულზე (2.7)**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი გადამზადდეს მოდულური სწავლების თავისებურებების (სწავლების მეთოდები, შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტების შედგენა და სხვ.) გათვალისწინებით (3.2)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

(ქალაქი, წელი)

VII. დაწესებულების მისია

ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო, დასაქმებაზე, სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტები, მოკლევადიანი მომზადება/ გადამზადების კურსები

- დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის, საზოგადოების აქტიური წევრის, მომზადება /გადამზადება/ მოზიდვა.
- ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, შექმნას ეფექტური, მოქნილი და სწრაფად განვითარებადი სასწავლებელი, რომელიც შეძლებს დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე. გახდეს განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოს, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, მიერ დამტკიცებული სამი საგანმანათლებლო პროგრამა.

კერძოდ:

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09111-პ) „ვეტერინარია - Veterinary“ საფუძველზე, **მისანიჭებელი კვალიფიკაციაა:**

ა) ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში/Associate Degree in Veterinary*(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)*

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/Fifth Level Vocational Qualification in Veterinary*(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი).*

კვალიფიკაციის კოდი: 0841

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება. პროგრამის მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტია (მათ შორის ზოგადი მოდულია 5, ჯამურად 16 კრედიტი, 18 პროფესიული მოდული, ჯამურად 64 კრედიტი და 8 კლინიკური სწავლების მოდული, ჯამურად 40 კრედიტის მოცულობით); არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდულების (30კრ.) დამატებით - 150 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისად: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 84 კვირა; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 108 კვირა.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (საგანმანათლებლო სტანდარტი) კვალიფიკაციის მისანიჭებლად ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით №43, 22.08.2019წ.) კი, მხოლოდ 120 კრედიტის დაგროვებას, საკვალიფიკაციო გამოცდის გარეშე. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა საგანმანათლებლო სტანდარტს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს №აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№44, 30.08.19წ.) დამტკიცებული მოდიფიცირებული პროგრამა, რომლის მე-12 პუნქტში კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ ითვალისწინებს კლინიკური სწავლების მოდულების (40კრ.) და რამოდენიმე პროფესიული მოდულის ნაწილობრივ პრაქტიკის ობიექტებზე გავლას. ამისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. კერძოდ:

1. მცირე მეწარმე [redacted], ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №6 (31იანვარი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი;
   კლინიკური მოდულები: 1. ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; 2. ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა;
2. სამეგრელო ზემო სვანეთის ვეტ.ასოციაციის ვეტერინარული კლინიკა „ვეტ.სერვისი“,ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №3 (31იანვარი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი;
   კლინიკური მოდულები: 1. ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; 2. ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა;
3. ინდ მეწარმე [redacted] [redacted] „ვეტ.აფთიაქი“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №4 (31იანვარი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი;
   მოდულები: 1. ვეტ.ფარმაცია და ფარმაკოლოგია; 2. დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. მეორე ჩხოროწყუს ვეტერინარული კლინიკა „ინოვეტი“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №7 (31იანვარი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი;
   კლინიკური მოდულები: 1. შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; 2. ცხოველთა მკურნალობა
5. მეორე ჩხოროწყუს ა(ა)იპ „მეცხოველეობის განვითარების ცენტრი“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №8 (31იანვარი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი;
   კლინიკური მოდულები: 1. ვეტ. მეანობა და გინეკოლოგია
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №09 (02თებერვალი 2019წ.) მოქმედების ვადა - 6 წელი - <u>არ არის დაკონკრეტებული მოდულები და სწავლის შედეგები, რომელიც უნდა დადასტურდეს აღნიშნულ ორგანიზაციაში.</u>

<u>დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა მემორანდუმში, ერთის გარდა, მითითებულია კონკრეტული მოდულები, რომელიც ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, უნდა განხორციელდეს აღნიშნულ ობიექტზე, სასურველია მემორანდუმების საფუძველზე გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული კლინიკური ან/და პროფესიული მოდულის ხანგრძლივობა და ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.</u>

*<u>ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით დაათვალიერა საგანმნათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ კლინიკური პრაქტიკის ობიექტები, გაესაუბრა პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს და უნდა აღინიშნოს, რომ მათი მხრიდან რაიმე პრობლემა მემორანდუმის საფუძველზე დაკონკრეტებული ხელშეკრულებების გაფორმების მხრივ არ დაფიქსირებულა. **მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებამ წარმოადგინოს მემორანდუმის საფუძველზე შედგენილი კონკრეტული ხელშეკრულებები, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობა, კონკრეტულად განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობისთვის.**</u>*

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს საკუთარი მეცხოველეობის ფერმა (ამჟამად 16 სული საქონელით), რომლის საბოლოო აღჭურვის დასრულების შემდეგ, შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის ნაწილის განხორციელება შესაძლებელი იქნება ადგილზევე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეგობსტნეობა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებოსტნეობა“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09114-პ) „სოფლის მეურნეობა / Agriculture“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture;

კვალიფიკაციის კოდი - 0811

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა „მებოსტნეობა“ მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები.

ხანგრძლივობა - 44 სასწავლო კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 75 კრედიტია, ხანგრძლივობა - 68 სასწავლო კვირა.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობა დაწესებულებას აქვს თავისსავე ბაზაზე არსებულ სასათბურე მეურნეობაში, თუმცა დამატებით ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

1. შპს „აგრო სახლი“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, 02.08.2019წ. ხუთი წლის ვადით;
2. შპს „გვაზა“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №22, 31.07.2019წ. ექვსი წლის ვადით;
3. შპს „გეჯეთი“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №23, 02.08.2019წ. ხუთი წლის ვადით.

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09114-პ) „სოფლის მეურნეობა / Agriculture“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture;

კვალიფიკაციის კოდი - 0811

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

„მეფუტკრეობა“ მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები.
ხანგრძლივობა - 44 სასწავლო კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 75 კრედიტია, ხანგრძლივობა - 68 სასწავლო კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლა შესაძლებელია დაწესებულების ბაზაზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც დამატებით დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები. კერძოდ:

1. შპს „აგრო სახლი“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, 02.08.2019წ. ხუთი წლის ვადით;
2. მეფუტკრეობის საოჯახო მეურნეობა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №20, 26.07.2019წ. ხუთი წლის ვადით;
3. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, 07.08.2019წ. ექვსი წლის ვადით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ვეტერინარია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მებოსტნეობა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეფუტკრეობა“;
- პროგრამების მიზნებისთვის გაფორმებული მემორანდუმებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია 2019 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ (ისტორია, ხედვა, მისია, ღირებულებები), ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, მისამართების, პარტნიორი ორგანიზაციების მითითებით და ასევე ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №36, (08.08.2019წ.) დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც VII თავისა და 36 მუხლისგან შედგება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (თავიII, მუხლი5), სტატუსის შეჩერების (IVთავი, მუხლი13), სტატუსის შეწყვეტის (IVთავი, მუხლი14), შიდა და გარე მობილობის (IVთავი, მუხლი16) და ასევე მიღებული განათლების აღიარების (IVთავი, მუხლი17) წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

შერჩევის გზით, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის და რეესტრის მონაცემების, გადამოწმების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა პროცედურა გაწერილი რეგულაციების შესაბამისად სრულდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- რეესტრის მონაცემებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №36, (08.08.2019წ.) დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც VII თავისა და 36 მუხლისგან შედგება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში მოცემულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ (IVთავი, მუხლი16).

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც მოქმედებს ორი საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ვეტერინარია, მეფუტკრეობა). კერძოდ:

1. სსიპ კოლეჯი „აისი“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №5, 24 ივლისი,2019წ. მოქმედების ვადა - უვადო;
2. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №6, 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ივლისი, 2019წ. მოქმედების ვადა - უვადო;

3. სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №4, 24 ივლისი, 2019წ. მოქმედების ვადა - უვადო

საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მებოსტნეობა“ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის IVთავი, მუხლი16 -ის შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის გადაყვანას სხვა ან მომიჯნავე პროგრამაზე ამავე სასწავლებელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება #41, 14.07.2018), რომელიც მოიცავს: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შესახებ ინფორმაციას, პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების და დამტკიცების პროცედურებს, პროგრამის განხორციელების შეფასებას, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურებს.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განვითარების სამსახურის აქტიური თანამშრომლობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს. კითხვარი მოიცავს: სტუდენტების, თანამშრომლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას; პროგრამით გათვალისწინებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური) შესაბამისობას უნივერსიტეტის რესურსებთან, შრომის ბაზრის კვლევას. კვლევების ანალიზს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და რეაგირებისთვის წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების/მოდიფიცირების შესახებ. გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

პროფესიული პროგრამის შეჩერების/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არგუმენტირებული წარდგინების შედეგად, მონიტორინგის შედეგების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების, ფინანსური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით.

რეგულარულად ხდება პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შუალედური კვლევის მიმდინარეობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროფესიული განათლების ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით გამოცემულ ბრძანებებს და შესაბამის პროცედურებს.

უნივერსიტეტმა 2019 წელს განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2015-18 წლების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დასაქმებასთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა მობილური ტელეფონის და სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით, ხოლო სტუდენტების გამოკითხვა ტარდება Google პლატფორმის გამოყენებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს მექანიზმები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის პროცესი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს,რომ დაწესებულების სტრუქტურაში არ ჩანს რა კავშირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების პროცედურა გულისხმობს სამუშაო ჯგუფის მიერ ადაპტირებული პროგრამის განხილვას ჯერ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო შემდგომ სამსახურის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენას დასკვნისა და რეკომენდაციებისთვის და მხოლოდ ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, პროგრამის აკადემიურ საბჭოზე წარდგენას დასამტკიცებლად პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ. ამიტომ, ***სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურაში, რომელიც ვებ გვერდზეა განთავსებული აისახოს ის ბმა (კავშირი), რაც ამ ორ სამსახურს აქვს ერთმანეთთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების კუთხით.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესით;
- პროფესიული განათლების მიმართულებით ჩატარებული სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების ანალიზით;
- სსიპ შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით #01-01/49, 11.06.2019;
- სსიპ შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საკუთრებაში საჯარო რეესტრის მონაცემებით ფიქსირდება არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთი, მასზე განლაგებული 12 შენობა-ნაგებობით, საერთო ფართობის ოდენობით მისამართის მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.სენაკი, მშვიდობის ქ.№192 მათ შორის - 12 გაშენების ფართობი	69361.00კვ.მ 18063.65კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები. კერძოდ:

მეგობსტნეობა

A /B გარემო № 106 აუდიტორია შენობის პირველ სართულზე - 10 პროფესიულ სტუდენტზე,

C გარემო - სასწავლო მეურნეობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ღია და დაცული გრუნტით - ორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სათბურით.

მეფუტკრეობა

A/C გარემო №110 აუდიტორია შენობის პირველ სართულზე - 10 პროფესიულ სტუდენტზე
C გარემო - სასწავლო მეურნეობაში გამოყოფილი მეფუტკრეობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი ფუტკრის სკებით.

ვეტერინარია

A/C გარემო №108 აუდიტორია შენობის პირველ სართულზე - 15პროფესიულ სტუდენტზე
A/C გარემო №107 აუდიტორია შენობის პირველ სართულზე - 15პროფესიულ სტუდენტზე
C გარემო ქიმიის ლაბორატორია №105 აუდიტორია შენობის პირველ სართულზე - 15 პროფესიულ სტუდენტზე
C გარემო სასწავლო მეურნეობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული ფერმით, დამხმარე ნაგებობებით და წყლის რეზერვუარით.

დაწესებულებას აქვს სრულად აღჭურვილი 2 B გარემო 20-20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მოდულის „**ინფორმაციული წიგნიერება“** განსახორციელებლად შენობის მეორე სართულზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

  შეფასება

  ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

  ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის სასწავლო პროცესი ხორციელდება შოთა მესხიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის განყოფილებაში, სადაც არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალიზებული სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- ელ.ენერგიის, წყლის და სხვ. კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის განყოფილების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1246 ერთეულს, ელექტრონული რესურსები ინახება 239 CD/DVD დისკებზე, დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია, როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ კატალოგში. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 8 კომპიუტერი მომხმარებლებისთვის, 1 კომპიუტერი პრინტერით ბიბლიოთეკარისთვის.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი/ინსტრუქცია“, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე სტუდენტებისთვის.

დაწესებულებაში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

ექსპერტთა მიერ შერჩევის გზით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებული ლიტერატურა და აღმოჩნდა,რომ უკლებლივ ყველა მითითებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

სასწავლო რესურსი წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელექტრონული და ბეჭდური კატალოგის გადამოწმებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება თავის საქმიანობაში აქტიურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის განყოფილების მფლობელობაში არსებული 66 პერსონალური კომპიუტერიდან 3 გამოიყენება ადმინისტრირებისთვის, ხოლო 63 პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, ასევე 37 ლეპტოპიდან 11 ადმინისტრირების მიზნებისთვის, ხოლო 26 სტუდენტთა საჭიროებისთვის გამოიყენება. სენაკის განყოფილებაში არის ასევე 7 მულტიფუნქციური პრინტერი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ხელმისაწვდომია როგორც სადენიანი, ასევე უსადენო კავშირი. კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ვებგვერდი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის. აღნიშნული მომსახურეობის მისაღებად სასწავლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კომპანიებთან „სილქნეტი“ და ,,კავკასუს ონლაინი“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომპანიასთან „სილქნეტი“ 14.03.2019 წელს ინტერნეტის მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით (მოქმედების ვადა 1 წელი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

- შპს-თან ,,კავკასუს ონლაინი“ ვებ გვერდისათვის ჰოსტინგ მომსახურების ხელშეკრულებით (2018- 2019წ.წ.)

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესი. (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #30, 20.08.2019).

საქმისწარმოების ერთიანი წესი განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე, ბრძანებებზე და ხელშეკრულებებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა შესასრულებლად სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის. სასწავლო უნივერსიტეტში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული – EFLOW და მატერიალური ფორმით. საქმისწარმოების წესის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ თითოეულ თანამშრომელს, რომელიც მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ახორციელებს საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმის წარმოების წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #14, 20.04.2018) და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #14, 20.04.2018), სადაც გაწერილია ხამძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი (ქ. სენაკი) აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ***დაწესებულება ქ. სენაკში იყენებს ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრებს. სასურველია დაწესებულებამ დაამატოს ქაფისა და წყლის ან ფხვნილის ცეცხლმაქრები, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. დაწესებულებების წარმომადგენლების განმარტებით მათ აქვთ საჭირო ცეცხმაქრების დამატების შესაძლებლობა.***
დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ.
დაწესებულებას ქ. სენაკში აქვს სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მედდა. პუნქტი აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. გადამოწმდა მედიკამენტების ვადები. ყველა მედიკამენტი იყო ვარგისი გამოსაყენებლად. მედდის მიერ ხორციელდება შემოსული პაციენტების აღრიცხვა.
წესრიგის დაცვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით;
- შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება განთავსებულია სამსართულიან შენობაში, რომლის პირველი სართული სრულად ადაპტირებულია, ასევე ადაპტირებულია შენობის მეორე სართულზე განთავსებული სველი წერტილები, თუმცა არ არის პანდუსი ან სხვა მოწყობილობა მეორე სართულზე მოსახვედრად.

სამივე საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სასწავლო აუდიტორიები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, გარდა ორი პროგრამის - მეფუტკრეობა და ვეტერინარია - მოდულების „ინფორმაციული წიგნიერება1“ და „ინფორმაციული წიგნიერება2“ განსახორციელებლად საჭირო B გარემოსა.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაგეგმილი და დაწყებულია ლიფტის მშენებლობა, რომელიც ამჟამად შეჩერებულია. <u>რაც შეეხება ორი საგანმნათლებლო პროგრამის მოდულების „ინფორმაციული წიგნიერება1“ და „ინფორმაციული წიგნიერება2“ განსახორციელებას, ადმინისტრაციამ გამოთქვა მზადყოფნა უახლოეს პერიოდში პირველ სართულზე B გარემოს მოწყობის შესახებ.</u>

<u>სასურველია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს მოდულების „ინფორმაციული წიგნიერება 1“ და „ინფორმაციული წიგნიერება 2“ განსახორციელებლად საჭირო სივრცის მოწყობა შენობის პირველ სართულზე.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადმინისტრაციული პერსონალის, ნორმატიული დოკუმენტების,სიახლეების შესახებ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024), სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (სამწლიანი, 2018-2020), ერთწლიანი (2019)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სამოქმედო გეგმა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: უნივერსიტეტის ისტორიას; ხედვას, მისიას და ღირებულებებს; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას; SWOT ანალიზს; სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებს; განვითარების ძირითად მიზნებს, მათი მიღწევის გზებს და შედეგებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიულ მიზანს: ცოდნის გაზიარების გზით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა; ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემის განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მართვის პროცესში ეფექტური გამოყენების გზით. შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა /განვითარება; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (აკადემიური და პროფესიული); სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება; სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია 2019 წელს უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, პაუხისმგებელი პირი და შემსრულებელი. გეგმა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: პროფესიული მასწავლებლების განვითარებისა და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობის ღონისძიებებზე. ასევე, მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაზე, მათ შორის სენაკის ბაზის. კერძოდ, სენაკში საერთო საცხოვრებლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ლიფტის მოწყობა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს უნივერსიტეტის 2018 წლის სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესრულების ანგარიში (ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024);
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმით (2018-2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით (2019);
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით (2018);
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშით (2018);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების განყოფილების (ქ. სენაკი) ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სამსახურში მიღების პირობებს არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“ (დადგ.№14, 20.04.2018წ.), ხოლო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების განყოფილების (ქ. სენაკი) ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობები განსაზღვრულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „პროფესიული განყოფილების დებულებით“ (დადგ. №41,03.09.2018წ.). განყოფილებას ემსახურება 14 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალთან გასაუბრებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობასა და პროფესიულ მასწავლებლებს შორის თანაფარდობაა:
ვეტერინარია - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 15 ადგილი, მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა -30. პროფესიული განათლების მასწავლებლების და პრაქტიკის ინსტრუქტორების რაოდენობაა-15.
პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 30/15.
პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, ექსპერტთა მოსაზრებით, ვეტერინარიის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება 30-ით ორ მიღებაზე.

მებოსტნეობა - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 10 სამუშაო ადგილს. **მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა** - 20-ს, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა- 11 -ს. პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 20/11.

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, ექსპერტთა მოსაზრებით, მებოსტნეობის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება 20-ით ორ მიღებაზე.

მეფუტკრეობა -პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 10 სამუშაო ადგილს. **მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-20-ს,** პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა-13-ს. პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 20/13.
პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, ექსპერტთა მოსაზრებით, მეფუტკრეობის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება 20-ით ორ მიღებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმნათლებლო პროგრამების განმახორციელებლად მოაზრებული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, და ასევე ნაწილ პერსონალს უკვე აქვს მოდულური მიდგომით პროგრამების განხოციელების გამოცდილება.

მიუხედავად ამისა, მაინც სასურველია განმახორციელებელი პერსონალისთვის ჩატარდეს გადამზადება/ტრენინგი მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდების, შეფასების მიმართულებების, ინსტრუმენტების შექმნის და შეფასების განხორციელების საკითხებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- სხვადასხვა პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შერჩევის გზით უკვე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების, მათი დანიშვნის აქტების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ, ასევე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ, აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებულია (დადგ.№02,11.01.2019წ.) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია (დადგ.№01,12.01.2019წ.) „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“. პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც პროგრამების ამოქმედების შემთხვევაში განმახორციელებელ პერსონალს გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- მოქმედი პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით;
- პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასუბრებით;
- პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

(ქალაქი, წელი)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ა) ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ვეტერინარია (მოდულური)	მეხუთე დონე/საფეხური	ა)ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი - 0841 ბ)მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)* კოდი - 010252	120	150	ქართული	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192	-	30
2	მებოსტნეობა მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში კოდი - 0811	60	75	ქართული	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192	-	20
3	მეფუტკრეობა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში კოდი - 0811	60	75	ქართული	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192	-	20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

10.09.2019წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)